

COVID-19-თან დაკავშირებული სიკვდილის მიზეზების განსაზღვრისა და გარდაცვალების სამედიცინო ცნობის შევსების ინსტრუქცია

მუხლი 1

1. COVID-19-თვის განკუთვნილია ავადმყოფობათა საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მე-10 გადახედვის (ICD-10) შემდეგი კოდები:

- ა) U07.1 COVID-19 - ვირუსი იდენტიფიცირებულია ლაბორატორიულად;
- ბ) U07.2 COVID-19 - ვირუსი არ არის ლაბორატორიულად იდენტიფიცირებული დიაგნოზის დასმა ეფუძნება კლინიკურ და ეპიდემიოლოგიურ მახასიათებლებს.

2. გარდაცვალების ყველა შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია COVID-19-თან იყოფა ორ ჯგუფად:

- ა) შემთხვევები, როდესაც COVID-19 წარმოადგენს სიკვდილის პირველად მიზეზს;
- ბ) სხვა დაავადებით განპირობებული გარდაცვალების შემთხვევები, როდესაც COVID-19 წარმოადგენს სიკვდილის გამომწვევი ძირითადი დაავადების დამამძიმებელ გარემოებას.

მუხლი 2

შემთხვევები, როდესაც COVID-19 წარმოადგენს სიკვდილის პირველად მიზეზს:

- ა) გადაწყვეტილება სიკვდილის პირველადი მიზეზის შესახებ უნდა მიიღოს მკურნალმა ექიმმა ტესტირების, კლინიკური სურათისა და დაავადების მიმდინარეობის ანალიზის საფუძველზე;
- ბ) COVID-19-ით გამოწვეული სიკვდილი არის კლინიკურად დადგენილი ამ დაავადების შედეგად დამდგარი სიკვდილი, როდესაც აღნიშნული დაავადება იყო ლაბორატორიულად დადასტურებული („ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N01-123/ო ბრძანება).
- გ) არ უნდა ფიქსირდებოდეს COVID-19-ით დაავადებას და სიკვდილს შორის სრული გამოჯანმრთელების პერიოდი;
- დ) COVID-19 უნდა განისაზღვროს სიკვდილის პირველად მიზეზად ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სიკვდილის დადგომა გამოიწვია ან სავარაუდოდ გამოიწვია აღნიშნულმა ინფექციამ, ან ხელი შეუწყო/დააჩქარა სიკვდილის დადგომა. არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ქრონიკული დაავადებების ან დასუსტებული იმუნური სისტემის მქონე ადამიანები COVID-19-ით გამოწვეული სიკვდილის უფრო მაღალი რისკის წინაშე დგანან. ქრონიკულ დაავადებებში შედის არაგადამდები დაავადებები, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება (ფქოდ), დიაბეტი ან შეზღუდული შესაძლებლობები. ასეთ დროს ადრე არსებული ქრონიკული დაავადებები განიხილება, როგორც COVID-19-ის მიმდინარეობის დამამძიმებელი გარემოება;
- ე) სიკვდილის პირველად მიზეზად COVID-19-ის განსაზღვრა უნდა დაეყრდნოს პათოლოგიური მოვლენების თანმიმდევრობას. ამ შემთხვევაში COVID-19-ის გართულებები (პნევმონია, მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომი, ქვედა სასუნთქი გზების ინფექცია, სეპტიცემია და სხვ.) უნდა ასახავდეს ლოგიკურ პათოგენეზურ ჯაჭვს, რომელიც იწვევს სიკვდილის დადგომას. ამ თანმიმდევრობის ჩამოყალიბებისთვის მიზანშეწონილია პაციენტის ავადმყოფობის ისტორიაში, დიაგნოზთან ერთად, აუცილებლად ფიქსირდებოდეს ყველა გართულება, რომელიც გახდა ლეტალური შედეგის უშუალო და შუალედური მიზეზი. ასევე, მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს და უნდა მიეთითოს თითოეული პათოლოგიური მდგომარეობის ხანგრძლივობა;
- ვ) იმ შემთხვევაში, როდესაც ლაბორატორიულად დადასტურებული COVID-19-ის დამახასიათებელი მძიმე კლინიკური სიმპტომატიკა გრძელდება და ვითარდება ფატალური შედეგი, დამდგარი სიკვდილი მიეკუთვნება COVID-19-ით სიკვდილიანობას, იმ შემთხვევაშიც, თუ ვირუსის ორგანიზმიდან ელიმინაცია ასწრებს კლინიკური სიმპტომების აღაგებას.

შენიშვნა:

მძიმე ქრონიკული დაავადებების და COVID-19-ის თანაარსებობის შემთხვევაში, როდესაც COVID-19-ის ვირუსი ორგანიზმიდან ელიმინირებულია (ტესტირების შედეგზე დაყრდნობით) და მისთვის დამახასიათებელი კლინიკური სიმპტომატიკა ალაგებულია და სახეზეა ადრე არსებული ქრონიკული დაავადების კლინიკური მახასიათებლები, გარდაცვალების შემთხვევა არ მიეკუთვნება COVID-19-ით სიკვდილიანობას.

მუხლი 3

1. COVID-19-ზე ტესტირების დადებითი შედეგი არ ნიშნავს იმას, რომ სიკვდილი აუცილებლად გამოწვეულია COVID-19-ით.
2. კოვიდ-ინფექცია შესაძლოა თანაარსებობდეს სხვა დაავადებასთან ან წარმოადგენდეს მის დამამძიმებელ გარემოებას. სხვა დაავადებით განპირობებული გარდაცვალების შემთხვევები, როდესაც COVID-19 წარმოადგენს სიკვდილის გამომწვევ ძირითადი დაავადების დამამძიმებელ გარემოებას, შემდეგია: COVID-19-ით დაავადებული ადამიანი შესაძლოა გარდაიცვალოს სხვა დაავადებით ან უბედური შემთხვევით, ასეთი შემთხვევები არ წარმოადგენს COVID-19-ით სიკვდილს და არ უნდა მიეთვალოს COVID-19-ით გარდაცვალებების რაოდენობას. თუ ჩაითვალა, რომ COVID-19-მა ხელი შეუწყო სიკვდილის დადგომას, ის უნდა განისაზღვროს როგორც თანმხლები დაავადება. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა მიეთითოს სიკვდილის გამომწვევი გარეგანი მიზეზი.
3. სიკვდილის პირველადი მიზეზის განსაზღვრა უნდა დაეყრდნოს პათოლოგიური მოვლენების თანმიმდევრობას, რომელიც უნდა ასახავდეს ლოგიკურ პათოგენეზურ ჯაჭვს, რომელიც იწვევს სიკვდილის დადგომას. ამ თანმიმდევრობის ჩამოყალიბებისთვის მიზანშეწონილია პაციენტის ავადმყოფობის ისტორიაში, დიაგნოზთან ერთად, აუცილებლად ფიქსირდებოდეს ყველა გართულება, რომელიც გახდა ლეტალური შედეგის უშუალო და შუალედური მიზეზი. ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს და უნდა მიეთითოს თითოეული პათოლოგიური მდგომარეობის ხანგრძლივობა.

მაგალითი 1:

დასკვნითი კლინიკური დიაგნოზები:

- ძირითადი დაავადება: მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი.
- გართულებები: კარდიოგენური შოკი, პარკუჭების ფიბრილაცია.
- თანმხლები დაავადებები: COVID-19 მწვავე ლარინგოტრაქეიტით, კარდიოსკლეროზი.

სიკვდილის მიზეზები		დროის მიახლოებითი მონაკვეთი ავადმყოფობის დაწყებიდან სიკვდილამდე (დღე, თვე, წელი)
I სიკვდილის გამომწვევი ავადმყოფობები ან/და მდგომარეობები		
სიკვდილის უშუალო მიზეზი (სიკვდილის დადგომის მექანიზმი)	კარდიოგენური შოკი	30 წუთი
შუალედური მიზეზი(ები) - პათოლოგიური მდგომარეობების თანმიმდევრული ჯაჭვი სიკვდილის უშუალო მიზეზიდან სიკვდილის პირველად მიზეზამდე.	პარკუჭების ფიბრილაცია -	1 საათი
სიკვდილის პირველადი მიზეზი (რომელმაც ბიძგი მისცა ზემოთ ჩაწერილი მოვლენების ჯაჭვს) მიეთითება ბოლო შევსებულ სტრიქონზე *	მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	1 დღე
II სხვა მნიშვნელოვანი მდგომარეობები, რომლებიც ხელს უწყობს სიკვდილს, მაგრამ არ არის დაკავშირებული ავადმყოფობასთან ან პათოლოგიურ მდგომარეობასთან, რომელიც იწვევს სიკვდილს	COVID-19 კარდიოსკლეროზი	1 დღე 5 წელი

ამ მაგალითში პაციენტს ჰქონდა COVID-19 ლარინგოტრაქეიტით, თუმცა, ყველა დახმარება ძირითადად, მიეწოდებოდა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის (გართულებებით) გამო, რამაც გამოიწვია სიკვდილი. COVID-19-ის კლინიკური და პათოლოგიური გამოვლინებები მინიმალური იყო. ყველა მონაცემის ერთიანობაში გათვალისწინებით, დასკვნით კლინიკურ დიაგნოზში ძირითად დაავადებად მკურნალმა ექიმმა შეარჩია მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი გართულებებით. ამ შემთხვევაში COVID-19 განისაზღვრება, როგორც თანმხლები დაავადება და სიკვდილის პირველად მიზეზად არჩეულ იქნა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი.

მაგალითი 2:

დასკვნითი კლინიკური დიაგნოზები:

- ძირითადი დაავადება: COVID-19
- გართულებები: მარჯვენამხრივი წილობრივი პნევმონია, მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი.
- თანმხლები დაავადებები: ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი თირკმლის გართულებებით

სიკვდილის მიზეზები	დროის მიახლოებითი მონაკვეთი ავადმყოფობის დაწყებიდან სიკვდილამდე (დღე, თვე, წელი)

I სიკვდილის გამომწვევი ავადმყოფობები ან/და მდგომარეობები		
სიკვდილის უშუალო მიზეზი (სიკვდილის დადგომის მექანიზმი)	მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	2 დღე
შუალედური მიზეზი(ები) - პათოლოგიური მდგომარეობების თანმიმდევრული ჯაჭვი სიკვდილის უშუალო მიზეზიდან სიკვდილის პირველად მიზეზამდე.	მარჯვენამხრივი წილობრივი პნევმონია	8 დღე
სიკვდილის პირველადი მიზეზი (რომელმაც ზიძგი მისცა ზემოთ ჩაწერილი მოვლენების ჯაჭვს) მიეთითება ზოლო შევსებულ სტრიქონზე *	COVID-19	10 დღე
II სხვა მნიშვნელოვანი მდგომარეობები, რომლებიც ხელს უწყობს სიკვდილს, მაგრამ არ არის დაკავშირებული ავადმყოფობასთან ან პათოლოგიურ მდგომარეობასთან, რომელიც იწვევს სიკვდილს	ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტი თირკმლის გართულებებით	5 წელი

ამ მაგალითში, ექიმის მიერ COVID-19 იყო არჩეული სიკვდილის პირველად მიზეზად, ვინაიდან მისი ხანგრძლივობა იყო 10 დღე. როგორც წილობრივი პნევმონია, ასევე მიოკარდიუმის ინფარქტი განისაზღვრა, როგორც COVID-19-ის გართულება.

მაგალითი 3.

დასკვნითი კლინიკური დიაგნოზები:

- ძირითადი დაავადება: კუჭის სხეულის ავთვისებიანი სიმსივნე (C16.2 T4N1M1).
- გართულებები: ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია მწვავე ფილტვისმიერი გულით, გულის შეფუბებითი უკმარისობა.
- თანმხლები დაავადებები: COVID-19-ზე დადებითი ლაბორატორიული ტესტი, კარდიოსკლეროზი, არტერიული ჰიპერტენზია.

სიკვდილის მიზეზები		დროის მიახლოებითი მონაკვეთი ავადმყოფობის დაწყებიდან სიკვდილამდე (დღე, თვე, წელი)
I სიკვდილის გამომწვევი ავადმყოფობები ან/და მდგომარეობები		
სიკვდილის უშუალო მიზეზი (სიკვდილის დადგომის მექანიზმი)	ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია მწვავე ფილტვისმიერი გულით	30 წუთი

შუალედური მიზეზი(ები) - პათოლოგიური მდგომარეობების თანმიმდევრული ჯაჭვი სიკვდილის უშუალო მიზეზიდან სიკვდილის პირველად მიზეზამდე.	გულის შეგუბებითი უკმარისობა	2 დღე
სიკვდილის პირველადი მიზეზი (რომელმაც ბიძგი მისცა ზემოთ ჩაწერილი მოვლენების ჯაჭვს) მიეთითება ბოლო შევსებულ სტრიქონზე *	კუჭის სხეულის ავთვისებიანი სიმსივნე	1,5 წელი
II სხვა მნიშვნელოვანი მდგომარეობები, რომლებიც ხელს უწყობს სიკვდილს, მაგრამ არ არის დაკავშირებული ავადმყოფობასთან ან პათოლოგიურ მდგომარეობასთან, რომელიც იწვევს სიკვდილს	COVID-19 კარდიოსკლეროზი არტერიული ჰიპერტენზია	2 დღე 5 წელი 8 წელი

ამ მაგალითში პაციენტს ჰქონდა დადებითი ლაბორატორიული ტესტი COVID-19-ზე, COVID-19-ის კლინიკური მონაცემები არ გამოვლენილა. სამედიცინო დახმარება, ძირითადად, მიეწოდა კუჭის კიბოს (გართულებებით) გამო, ამიტომ კუჭის კიბო სწორად იქნა არჩეული სიკვდილის პირველად მიზეზად.

! ჯანმო-ს რეკომენდაციით, გარდაცვალების ყველა ის შემთხვევა, სადაც COVID-19 იყო მითითებული, მაგრამ არ იყო არჩეული, როგორც სიკვდილის პირველადი მიზეზი, გადამოწმებას ექვემდებარება კლინიცისტების/სპეციალისტების მიერ.